7. საზოგადოებრივი გეოგრაფიის
ს ა მ ა გ ი ს ტ რ ო პ რ ო გ რ ა მ ა

1. სპეციალობა: **საზოგადოებრივი გეოგრაფია (Human Geography)**

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი (MA in Human Geography)

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი*:* პროფესორი გიორგი გოგსაძე

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<u>აქტუალობა და მიზნები</u>:

საზოგადოებრივი გეოგრაფია (Human Geography), ერთის მხრივ სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების, ხოლო მეორეს მხრივ გეოგრაფიის შემადგენელი ნაწილია. მისი მიზანია სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების და პროცესების სივრცობრივი კანონზომიერებებისა და თავისებურებების გამოვლენა და ამის საფუძველზე ამ სფეროებში მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირება ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტში სამაგისტრო სწავლების მთავარი დანიშნულებაა სტუდენტების მომზადება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და ჩვენს დეპარტამენტში არსებული გამოცდილების საფუძველზე; მათთვის შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; ამ ამოცანების გადაჭრა ხორციელდება, როგორც დეპარტამენტის წევრების, ასევე მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით.

<u>შედეგი:</u>

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი არის სპეციალისტი, რომელმაც აითვისა საზოგადოებრივი გეოგრაფიის და მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინების სამაგისტრო კურსები. მას ხელეწიფება დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობა, კერძოდ შეუძლია სალიტერატურო, სტატისტიკურ და სხვა სახის წყაროებთან მუშაობა, გეოინფორმაციული სისტემების ტექნოლოგიების გამოყენება, კონკრეტული საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების დროით-სივრცითი ანალიზის და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება.

<u>დასაქმება</u>:

კურსდამთავრებულები წარმატებით იყენებენ მიღებულ ცოდნას მეცნიერულ და განსაკუთრებით პრაქტიკულ საქმიანობაში. ჩვენმა კურდამთავრებულებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სხვადასხვა პერიოდში საზოგადოებრივი

გეოგრაფიის სპეციალისტები მუშაობდნენ და მუშაობენ სხვადასხვა საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობებზე. ჩვენი დეპარტამენტის კურსდამთავრებულებს შორის იყვნენ/არიან პერემიერ-მინისტრი, 4 მინისტრი, 10-მდე მინისტრის მოადგილე და მათთან გათანებრებული პირი, 9 ელჩი. 2 საზოგადოებრივი გეოგრაფი ამჟამად მუშაობს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შტაბ-ბინაში.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრების დასაქმების შესაძლო სფეროებს წარმოადგენს: სამთავრობო ორგანიზაციები (მათ შორის დიპლომატიური სამსახურები), საგანმანათლებლო, გეგმარებითი, გარემოსდაცვითი და ტურისტული დაწესებულებები; არასამთავრობო და კომერციული სექტორი.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

საზოგადოებრივ გეოგრაფიაში სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარებას არ გააჩნია განსაკუთრებული წინაპირობები.

აღნიშნულ პროგრამაზე ჩაბარების მსურველი უნდა იყოს ბაკალავრის ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელმაც თსუ აკადემიური საბჭოს და/ან ფაკულტეტის მიერ დადგენილი წესით უნდა ჩააბაროს წერითი გამოცდები უცხო ენასა და საზოგადოებრივ გეოგრაფიაში.

საგამოცდო საკითხები საზოგადოებრივ გეოგრაფიაში (მაგისტრატურა)

1.1 მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა და ბუნებრივი მოძრაობა: ძირითადი ცნებები; მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკის ისტორიული მიმოხილვა და თანამედროვე ტენდენციები
1.2 ბუნებრივ მოძრაობაზე მოქმედი ფაქტორები; ბუნებრივი მოძრაობის გეოგრაფიული ასპექტები
1.3 დემოგრაფიული პოლიტიკა
1.4 შრომითი რესურსები; ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა

2.1 მოსახლეობის მიგრაცია, როგორც საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მოვლენა. შიდა მიფრაციები.
2.2 თანამედროვე საერთაშორისო მიგრაციები; იძულებითი ხასიათის საერთაშორისო მიგრაციები; ტრეფიკინგი.
2.3 შრომითი მიგრაციები
2.4 მოსახლეობის ხარისხის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

3.1 ბუნებრივი რესურსები და მათი ტიპები
3.2 მსოფლიო მეურნეობა: ზოგადი დახასიათება; მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა
3.3 მსოფლიოს სოფლის მეურნეობის გეოგრაფია
3.4 რას შეისწავლის პოლიტიკური გეოგრაფია. მსოფლიოს პოლიტიკური რუკა. ქვეყნები და მათი დაჯგუფება გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით.

4.1 საქართველოს მრეწველობა: ზოგადი დახასიათება. დარგობრივი სტრუქტურა
4.2 საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა
4.3 საქართველოს მეტალურგია; ქიმიური მრეწველობა; მანქანათმშენებლობა;
4.4 საქართველოს მსუბუქი მრეწველობა; კვების მრეწველობა

ლიტერატურა:

1. გიორგი გოგსაძე - მოსახლეობის გეოგრაფია (სალექციო კურსი)
2. იოსებ სალუქვაძე საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი (სალექციო კურსი)
3. საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბილისი 2003